დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიაში "საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრი:

ხათუნა მაისაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოთხოვნილი წარმოება.

I. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2023 წლის 15 ივნისს გამოცემული MES N 692508, ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლების" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2023 წლის 30 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საექთნო განათლების" სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 84-ით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 76 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, "საექთნო განათლების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს ექთნების მწვავე დეფიციტი, რომელიც კვლავ რჩება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. 2023 წლის საუკეთესო სამუშაო ადგილების სია US News-მა შეადგინა World Report-თან ერთად, მუშახელის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით მაღალია კადრებზე მოთხოვნა და დასაქმების მაჩვენებელი ექთნის პროფესიაზე. ასევე, პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 84, ჯამში 168 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

II. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

III. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

-

IV. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

V.სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არდაფიქსირებულა

VI.განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საქთნო განათლება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2019 წლის 13 მაისის N2/54 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 26.06.2023 წლის რექტორის N 2/105 ბრძანება);
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წერონისის 208,
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ქ. თბილისი, წერონისის N208 168 პროფესიული სტუდენტი მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრულ შესაბამისობასია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთანშ ესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო განათლება“ ახორციელებს 2019 წლიდან დღემდე. პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული იყო 84

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტი. გამომდინარე იქიდან, რომ დღეისათვის ექთნების მწვავე დეფიციტი კვლავ რჩება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, 2023 წლის საუკეთესო სამუშაო ადგილების სია US News-მა შეადგინა World Report-თან ერთად, მუშახელის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით მაღალია კადრებზე მოთხოვნა და დასაქმების მაჩვენებელი ექთნის პროფესიაზე და საქართველოს შრომის ბაზაზე ექთნის პროფესიაზე არსებობს მოთხოვნა, რასაც ადექვატურად უნდა უპასუხოს საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაბამისი პროდუქტის შეთავაზების გზით, დაწესებულებამ, სამედიცინო მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილებისა (პრაქტიკოსი ექთანი, საექთნო განათლება), სამედიცინო დაწესებულებებთან წარმატებული თანამშრომლობისა და საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსებისა და სასწავლო რესურსების შეფასების საფუძველზე, გადაწყვიტა გაზარდოს აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 84 პროფესიული სტუდენტით (ერთ მიღებაზე ორი 28-28 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფის სწავლების პირობით, სულ წელიწადში 56 პროფესიული სტუდენტის, რაც სამი წლის მანძილზე იქნება 168 პროფესიული სტუდენტი).

საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლება“, რომელსაც უკვე ახორციელებს დაწესებულება, ითვალისწინებს და მიზნად ისახავს შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე ექთნების მომზადებას, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან ადგილობრივ ბაზარზე.

შესაბამისად, ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

აღნიშნული პირობების დაკმაყოფილების მიზნით აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი იქნა სასწავლო აუდიტორიების მოყვანა მოთხოვნილი კვოტების ფარგლებში. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა გაზრდილი კვოტის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია და შეამოწმეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აუდიტორიები. კოლეჯს ქ. თბილისში, წერონისის ქ. 208-ში საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი A № 14 სასწავლო გარემო (28 პროფესიულ სტუდენტზე),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 50%-ით, რაც საშუალებას იძლევა ორ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი რაოდენობა.

AC № 17 სასწავლო გარემო (28 პროფესიულ სტუდენტზე), პრაქტიკული სწავლების მოდულებისათვის: ,,ავადმყოფის მოვლა“ და ,,შინმოვლა“, რომელიც სრულად არის აღჭურვილი მოდულებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით: 1 უნივერსალური მულაჟი და 1 ჩვილის მანეკენი, 1 ტორსი, 1 ზედა კიდურის მულაჟი, გორგოლაჭებიანი სავარძელი, ყავარჯნები, თეთრეულის ნაკრები, მულტიფუნქციური საწოლი, სხვა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 50%-ით, რაც საშუალებას იძლევა ორ ცვლაში მიღებული იქნეს AC სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი რაოდენობა.

აკადემიას მდგრადობისთვის ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები დაწესებულებებთან: ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასთან“, შპს ,,აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან “ და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ პრაქტიკული სწავლების მოდულებისათვის: ,,ავადმყოფის მოვლა“ და ,,შინმოვლა“.

პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი B სასწავლო გარემო - კომპიუტერული კლასი (30 პროფესიულ სტუდენტზე).

B სასწავლო გარემო საზიაროა 3 პროგრამისთვის (შრომის უსაფრთხოება, გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები, აღმზრდელი), რომლებშიც პროფესიული სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან საშუალოდ ითვისებს 3 კრედიტს. შესაბამისად B სასწავლო გარემოს ერთ ცვლაში დატვირთვა არ აღემატება საშუალოდ 5%-ს.

სასწავლო გარემოები აღჭურვილია როგორც სასწავლო ინვენტარით, ასევე კომპიუტერული და ციფრული საპრეზენტაციო ტექნიკით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სპეციფიკის (პრაქტიკული კომპონენტის მოდულების კლინიკებში განხორციელების) გათვალისწინებით, დაწესებულებაში არსებული ფართი და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს, დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო განათლება მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით თეორიული სწავლება ერთდროულად უწევთ 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, აკადემია შეუფერხებლად განახორციელებს 112 (56+56) პროფესიული სტუდენტის სწავლებას სასწავლო აუდიტორიებში, შესაბამისად, სააუდიტორიო ფართი საკმარისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტები სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან გადიან პარტნიორ კლინიკებში სწავლებას. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ მოდულის განმახოციელებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორები 1/7 თანაფარდობით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო განათლება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე გაიზარდა ერთდროულად მისაღები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.
საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან:
1. ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 20.02. 2023 წელი, ხუთი წლის ვადით, ერთდროულად მიიღებს - 56 პროფესიულ სტუდენტს);
2. შპს ,,აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 06.03.2019 წელი, ექვსი წლის ვადით, ერთდროულად მიიღებს - 42 პროფესიულ სტუდენტს);
3. შპს ქალაქ თბილისის ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 01.03.2019 წელი, ექვსი წლის ვადით, ერთდროულად მიიღებს - 28 პროფესიულ სტუდენტს);
4. შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 05.06.2020 წელი, ხუთი წლის ვადით, ერთდროულად მიიღებს - 28 პროფესიულ სტუდენტს);
5. შპს ,,აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 21.09.2021 წელი, ხუთი წლის ვადით, ერთდროულად მიიღებს - 56 პროფესიულ სტუდენტს);
6. შპს თბილისის „პედიატრიული პრივატ კლინიკა“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 01.10.2021 წელი, 2 წლის ვადით, ერთდროულად მიიღებს - 42 პროფესიულ სტუდენტს);
7. შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 03.02. 2022 წელი, ხუთი წლის ვადით, ერთდროულად მიიღებს - 42 პროფესიულ სტუდენტს).
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო განათლება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით დამატებით გაფორმდა ხელშეკრულება შემდეგ ობიექტთან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

1. კლინიკა - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალს“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 23.03.2023 წელი, ხუთი წლის ვადით), სადაც აღნიშნულია, რომ კლინიკას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 42 პროფესიული სტუდენტი).

კლინიკები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება.

აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ შვიდ პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პრაქტიკული მოდულის განმახორციელებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტების - ,,შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ -ს და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალს“ -ის წარმომადგენელებთან/ განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება (გასაუბრება შედგა დისტანციურ ფორმატში) ხოლო შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“ -ის წარმომადგენლებთან მოხდა კლინიკაში შეხვედრა, მათი მხრიდან გამოითქვა სრული მზაობა ითანამშრომლონ აკადემიასთან ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (168) გათვალიწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

2.2.1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება “ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 1 ქართული ენა A2 და B1 განმახორციელებელი, ზოგადი მოდულები - 7 განმახორციელებელი (2 - საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში, 3 - უცხო ენა - საექთნო საქმეში, 2 - კომუნიკაცია- საექთნო საქმეში) და დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი. თითოეული მათგანთაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო მათთან გაფორმებული ხელშეკრულება კი არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“. ამასთან, პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. ამასთან, თითო მოდულის განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია და აკადემიის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3. დაწესებულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მინიმუმ პროფესიული განათლება შესაბამის სფეროში/დარგში ან/და შესაბამის სფეროში/დარგში მუშაობის/სწავლების მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება ან/და სფეროს/დარგის შესაბამისი ცოდნის/უნარების ფლობა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით. კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნებია საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება - საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

ვიზიტის განმავლობაში მოხდა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შემოწმება (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

შედგა გასაუბრება მოდულების „მიკრობიოლოგია“, ,,ჰისტოლოგია“, ,,თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, ,,კომუნიკაცია საექთნო საქმეში“, ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში“, ,,უცხოური ენა - საექთნო საქმეში“, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწვლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

აღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას პროგრამის ხელმძღვანელებად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომელთა კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მათი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. ორივე მათგანი კვალიფიკაციით არის ექთანი: 1. ექთანი, პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით, აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება (1982 წლიდან დღემდე) და 2. ექთანი (ტრენერი) პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის და დარგში მუშაობის გამოცდილებით (2017 წლიდან დღემდე).

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება–შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

გაცნობა–დანერგვაში და ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების უფროსების მიერ დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებებს აქვთ შესაბამისი მოტივაციაც და დარგობრივი კომპეტენციაც უხელმძღვანელონ სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, მათ სრულად აქვთ გათავისებული მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდნენ პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებიან პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული არიან შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მზად არის მონაწილეობა მიიღონ მის განვითარებაშიც.

აღნიშნულის თანახმად, დასტურდება რომ რომ ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1.5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები და საბეჭდი და ასლგადამღები ტექნიკა. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით რომ ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ვიზიტის ფარგლებში შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ვიზუალური დათვალიერება და დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მოწყობილია პანდუსები და სველი წერტილები. შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნეს, რომ ისინი უზრუნველყოფენ სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავებასაც, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენას; სასწავლო რესურსების ადაპტირებაში ისინი მოიაზრებენ სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირებასაც. ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰყავს სსსმ პირები, თუმცა აქვს სრული მზაობა დაუბრკოლებლად მოემსახურონ მათ.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია და სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

2.2.1.7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ბიუჯეტით პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა შესაძლებელია ჯგუფში მინიმუმ 18 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში.

შემოსავლების ნაწილი მოიცავს ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: ადმინისტრირების ხარჯი; პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურების ხარჯი; პრაქტიკის ხარჯი; მასალა-ნედლეულის ხარჯი; პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯები; პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯები; მატერიალური რესურსების განახლების ხარჯები; რეკლამისა და საიმიჯო ღონისძიებების ხარჯები; კომუნალური ხარჯები, სესხის , ქონების, საპენსიო და სხვა გადასახადი; სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი. ბიუჯეტით პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია 191052 ლარი ერთი ჯგუფის სწავლებისთვის, რაც სავსებით რეალურად დაფარავს წარმოდგენილ ხარჯებს. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო განათლება“ დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2019 წლის 13 მაისის N2/54 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 26.06.2023 წლის რექტორის N 2/105 ბრძანება);
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია;
- 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის 07.11.2022 წლის N2/185 ბრძანება) დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ბიბლიოთეკის დებულება.
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

- მასწავლებელთა დატვირთვის ფორმები;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ხელშეკრულებები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

1. დღის განრიგი

14.07.2023 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: